საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/84 „10" ოქტომბერი 2022 წ.

# განკარგულება

**„ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვერიკო ზათიაშვილმა 2022 წლის 27 სექტემბერს წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და აცნობა, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილზე - ქ. თელავში არ აქვს საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულის გათვალისწინებით:

1. „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულების პირველი მუხლის მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ" ქვეპუნქტი:

„დ) თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვერიკო ზათიაშვილს.".

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი